კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	**კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავის საჯარო სკოლა	თეა ხუროშვილი

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	ფლავის საჯარო სკოლა, მდებარეობს მაღალმთიან/კონფლიქტისპირა სოფელში. სკოლა წარმოადგენს სოფლის ერთადერთ საგანმანათლებლო ცენტრს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში არსებობს ბიბლიოთეკა, სამწუხაროდ ის არ არის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სათანადოდ აღჭურვილი. რომ არაფერი ვთქვათ ინფრასტრუქტურასა და ინვენტარზე, ბიბლიოთეკაში არ არის მრავალფეროვანი და განახლებული ლიტერატურა, რესურსები, რომელიც აუცილებელია ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავებისა და უნარების განვითარებისთვის. არასაკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოძველებული ფონდი მნიშვნელოვან შეფერხებას უქმნის მოსწავლეებსა და პედაგოგებს საგანმანათლებლო პროცესში. ➢ **სკოლაში ,,ფინედუს” კუთხის გახსნა მნიშვნელოვანია,** რადგან მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ადრეული ასაკიდან შეისწავლონ ფინანსური საკითხები მარტივი და ინტერაქტიული გზით. ის გახდება დამატებითი საგანმანათლებლო სივრცე რომელიც ხელს შეუწყობს მათში ფინანსური პასუხისმგებლობის, დაგეგმვისა და რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უანარის ჩამოყალიბებას. ფინანსური საკითხების ცოდნა დაეხმარება მათ უკეთ გაიგონ თანამედროვე ეკონომიკური პროცესები და მომავალში მიიღონ ინფორმირებული გადაწყვეტილებები. ჩვენთვის პედაგოგებისთვის კი ,,ფინედუს” მასალები იქნება ეფექტური ინსტრუმენტი, რომ სასწავლო პროცესი გავხადოთ მოსწავლეებისთვის მეტად მიმზიდველი, საინტერესოდ და პრაქტიკულად ავხსნათ ეკონომიკური და სოციალური თემები, დავაკავშიროთ სასწავლო პროცესი რეალურ ცხოვრებასთან. ➢ **,,ფინედუს” კუთხე მნიშვნელოვან** წვლილს შეიტანს სკოლაში როგორც ფორმალურ ისე არაფორმალურ განათლების პროცესში. სკოლაში, არაფორმალურ გარემოში, პედაგოგების,

	მოსწავლეების და მშობლების ინიციატივით მიმდინარეობს სახელოვნებო/სამწარმეო და აგრარული პროფესიული პროგრამები, **რომლის მიზანი ხელსაქმის/ხელობის როგორც, მომავალი პროფესიის შესწავლაა** და განკუთვნილია როგორც სკოლის, ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის. ,,ფინედუს" კუთხის გახსნა კი უზრუნველყოფს ფინანსური განათლების ორგანულ ინტეგრირებას მიმდინარე პროგრამებთან. მოსწავლეები მიიღებენ აუცილებელ ფინანსურ ცოდნას საკუთარი პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მათ სამეწარმეო უნარების განვითარებასა და პასუხისმგებლობის გაზრდას. ხოლო მიმდინარე პროგრამები ,, ფინედუს" კუთხისთვის შექმნის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობებს, გაზრდის მოტივაციასა და ხელს შეუწყობს თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას ფინანსურ საკითხებსა და სამეწარმეო სფეროში. ➢ **,,ფინედუს" კუთხის გახსნა** ორგანულად დაუკავშირდება როგორც ფორმარულ ისე არაფორმარულ გარემოში მიმდინარე სახელოვნებო/სამეწარმეო და აგრარულ პროფესიულ პროგრამებს, რაც გაზრდის მისი გამოყენების მოტივაციას. სხვადსხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა კი გახდება დამატებითი სტიმული და შესაძლებლობა ,,ფინედუს" მასალების ეფექტური გამოყენებისთვის. პედაგოგებისთვის ,,ფინედუს" მასალების ხელმისწვდომობა და მათი გამოყენების სიმარტივე ხელს შეუწყობს მათ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში. მოსწვლეებისთვის ინტერაქტიული და პრაქტიკული აქტივობების შეტავაზება ,,ფინედუს" კუთხის ფარგლებში გაზრდის მათ ჩართულობასა და ინტერესს ფინანსური საკითხების მიმართ.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • **შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ.** • **განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.**
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	პროექტის ძირითადი მიზნობრივი სეგმენტი არიან სკოლის მოსწავლეები, რომლებიც ჩართულები არიან სკოლის ბაზაზე მიმდინარე სახელვნებო/სამეწარმეო და აგრარული მიმართულების პროგრამებში. პედაგოგები: რომლებიც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა მიმართულებებს და დაინტერესებული არიან ფინანსური განათლების ინტეგრირებით საკუთარ საგნებსა და საქმიანობაში. მშობლები: პროექტის ფარგლებში სხვადსხვა სახის შეხვედრების ორგანიზება და ჩართულობა. ადგილობრივი ხელოსნები და მეწარმეები: რომელთაც მოვიწვევთ მასტერკლასებისთვის და ვორქშოპებისთვის საკუთარი პრაქტიკისა და ცოდნის გაზიარების მიზნით.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	ფლავის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა. ფინანსური კლუბის ჩამოყალიბება და განგრძობითი შეხვედრები ყოველ ორ კვირაში ერთხელ 1.5 საათის ხანგრძლივობით. ასევე პროექტის ფარგლებში ჩატარდება ერთჯერადი აქტივობები სემესტრში - 3-4 ღონისძიება.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	**აგრარული შვეიცარული სკოლის წარმომადგენლები,** გაგვიწევენ კონსულტირებას აგრარული მიმართულებისა და მეწარმეობის პროექტების მიმართულებით.ისინი ჩაერთვებიან ონლაინშეხვედრებში ან ვორქშოპებში გამოცდილების გაზიარების მიზნით. **ადგილობრივი მეწარმეები და ხელოსნები,** მასტერკლასებისა და ვორქშოპების ჩასატარებლად. მოსწავლეებს გაუზიარებენ საკუთარი წარმატების ისტორიებს, მისცემენ პრაქტიკულ რჩევებს ფინანსური მართვის შესახებ, განსაკუთრებით ხელნაკეთი ნივთების წარმოების შესახებ. **საბანკო სფეროს წარმომადგენელები, საინფორმაციო შეხვედრის ჩასატარებლად** ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ, რაც სასარგებლო და საინტერესო იქნება მეწარმეობის კუთხით. **მშობლები, რომლებიც არიან ჩვენი აქტიური მხარდამჭერები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებში** როგორიცაა, მაგ. გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება, საინფორმაციო შეხვედრები, თვითონ ზოგიერთი მშობელი არის ადგილობრივი მეწამე....)

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	**იდეა:** პროექტი მიზნად ისახავს, სკოლის მოსწავლეებს და ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც სკოლის ბაზაზე ჩართული არიან სახელოვნებო/ სამეწარმეო და აგრარულ პროექტებში. შესძინოს პრაქტიკული ფინანსური ცოდნა და უნარები, რაც მათ დაეხმარებათ საკუთარი შემოქმედებითი და სამეწარმეო იდეების რეალიზებაში. პროექტი გააერთიანებს როგორც რეგულარულ შეხვედრებს, ასევე ერთჯერად ღონისძიებებსაც. **რეგულარულ შეხვედრებს** დაესწრება 15-20 მოსწავლე რომელიც აქტიურად არიან ჩართული არაფორმალური განათლების სხვადსხვა მიმართულებებში. ასევე პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ჩართული იქნება 250- მდე მოსწავლე, ხოლო პროექტის დასრულების შემდგომ 1500 ზე მეტი ადამიანი მიიღებს სარგებელსა და ინფორმაციას ფინანსურ განათლებასა და სახელოვნებო/მეწარმეობის საკითხებზე. პროექტის ფარგლებში, ფინანსური კლუბის ორგანიზებით მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, ჩატარდება შეხვედრები და დაიფარება შემდეგი თემები: ➢ **ფინანსური საწყისები- „ფულის სამყაროში მოგზაურობა“:** დამუშავდება შემდეგი **თემები:** ფულის ისტორია, თანამედროვე ფული და მისი ფორმები, პირადი ფინანსების მნიშვნელობა ახალგაზრდებისთვის („მოგზაურობა ფულის სამყაროში“). გამოყენებული იქნება სხვადსხვა **მეთოდები:** ინტერაქტიული ლექცია, დისკუსია, ვიდეო მასალების ჩვენება „ფინედუს“ არხიდან და სხვა... ➢ **„ჩემი ბიუჯეტი”- ბიუჯეტირება და დაზოგვა.** **დაიფარება შემდეგი თემები:** რა არის ბიუჯეტი, როგორ შევადგინოთ პირადი ბიუჯეტი („ბიუჯეტირება და დაზოგვა“), დაზოგვის მნიშვნელობა და გზები („დაგროვების ამბავი“),

	მიზნების დასახვა და მათთვის თანხის დაგროვება.სხვადსხვა **მეთოდების გამოყენებით:** ჯგუფური მუშაობა ბიუჯეტის ნიმუშების შექმნაზე, როლური თამაშები „როგორ დავზოგოთ ფული“, პრაქტიკული დავალებები სასურველი ნივთისთვის თანხის დაგროვების გეგმის შედგენაზე და ა..შ.. ➢ **,,ფული და მეწარმეობა”** დამუშავდება შემდეგი **თემები:** რა არის მეწარმეობა, ბიზნესის ძირითადი ასპექტები, საწყისი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები ბიზნესში (მიკრო და მცირე ბიზნესის სახელმძღვანელო), პროდუქციის/მომსახურების ფასის განსაზღვრა. სხვადსხავ **მეთოდების გამოყენებით:** ქეისების ანალიზი წარმატებული ადგილობრივი მცირე ბიზნესების შესახებ, ჯგუფური მუშაობა ბიზნეს-იდეების გენერირებასა და მარტივი ბიზნეს-გეგმების შემუშავებაზე, დისკუსია საკუთარი ხელნაკეთი ნივთების ან აგრარული პროდუქციის ფასის განსაზღვრის შესახებ. ➢ **„ჩემი ხელნაკეთი შედევრის ფასი“** **დამუშავდება შემდეგი თემები:** თვითღირებულების განსაზღვრა (მასალები, დრო, ენერგია), დანახარჯების აღრიცხვა. სხვადსხვა **მეთოდების გამოყენებით:** პრაქტიკული სავარჯიშოები მოსწავლეთა მიერ დამზადებული ხელნაკეთი ნივთების ან აგრარული პროდუქციის თვითღირებულების ანალიზზე. ➢ **„მარკეტინგი მცირე ბიუჯეტით“** **დაიფარება შემდეგი თემები:** მარკეტინგის საფუძვლები, სოციალური მედია მარკეტინგი, ეფექტური სარეკლამო ტექსტების შექმნა, მომხმარებელთან ურთიერთობა. გამოყენებული იქნება სხვადსხვა **მეთოდები:** პრაქტიკული სავარჯიშოები სარეკლამო პოსტების შექმნაზე, წარმატებული მარკეტინგული კამპანიების ანალიზი მცირე ბიუჯეტის პირობებში.

	➢ **,,ფინანსური უსაფრთხოება და მომავალი”** **დაიფარება შემდეგი თემები:** ფინანსური რისკები და მათი მართვა, კიბერუსაფრთხოება ფინანსურ ოპერაციებში, ფინანსური მიზნების გრძელვადიანი დაგეგმვა, მომავლის პროფესიები და ფინანსური წარმატება. სხვადასხვა **მეთოდების გამოყენებით :** დისკუსია, მოწვეული სტუმარი (ბანკის წარმომადგენლის ან ფინანსური ექსპერტი) ლექცია-სემინარი, ინტერაქტიული ვიქტორინები თემების შესაჯამებლად,სამაგიდო თამაშები. პროექტის ფარგლებში განგრძობით შეხვედრების პარალელურად ჩატარდება ერთჯერადი აქტივობებიც: ❖ **,,მასტერკლასი ადგილობრივი წარმატებული ხელოსნებისგან და მეწარმეებისგან:”** მოვიწვევთ ადგილობრივ ხელოსნებსა და მეწარმეებს, რომლებიც გაუზიარებენ თავის ფინანსურ გამოცდილებასა და წარმატების ისტორიას პროექტის მონაწილეებს. ❖ **„ფინანსური კინოკლუბი“:** მოეწყობა ფილმის ან დოკუმენტური რგოლის ჩვენება ფინანსურ თემაზე და შემდგომი დისკუსია. ❖ **„მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა “(სიმულაცია):** მოსწავლეები წარმოადგენენ თავიანთ ხელნაკეთ ნივთებს ან პროექტებს და ცდილობენ მათ გაყიდვას, ითვალისწინებენ ფასწარმოქმნის, ხარჯებისა და მოგების საკითხებს. ❖ **„ფინანსური ვიქტორინა “** გუნდური შეჯიბრი ფინანსურ თემებზე „ფინედუს“ მასალების გამოყენებით. ❖ **დებატები თემაზე „ფული კარგია თუ ცუდი“:** მოსწავლეები დაორგანიზებენ და გამართავენ დებატებს, სადაც განიხილავენ ფულის დადებით და უარყოფით მხარეებს, მის როლს საზოგადოებაში. ❖ **ფინანსური თამაშების საღამო:** საღამოს ორგანიზება, სადაც მოსწავლეები „ფინედუს“ სამაგიდე თამაშს („ფინანსური ასოციაციობანა“) და სხვა ეკონომიკურ თამაშებს ითამაშებენ სახალისო და ინტერაქტიულ გარემოში. ❖ **,,ვიზიტი ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში”** ექსკურსია ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში, რათა მოსწავლეები გაეცნონ მისი მუშაობის პრინციპებს, სხვადასხვა ფინანსურ პროდუქტს და მომსახურებას.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	პროექტის წარმატებისა და შედეგების გასაზომად გამოვიყენებთ სხვადსხვა მეთოდსა და აქტივობებისთვის შემუშავებულ შეფასების კრიტერიუმებს. წარმატება რათქმაუნდა მოსწავლეთა ფინანსური ცოდნის გაუმჯობესებით შეფასდება, რაც დადასტურდება პროექტის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ ჩატარებული ტესტირების შედეგების შედარებით. პრაქტიკულ უნარებს კი გამოვავლენთ მათ მიერ შესრულებული დავალებებით (მაგ. ბიუჯეტის შედგენის სიზუსტე..)პროექტის ხელშესახები შედეგი იქნება სახელოვნებო/სამეწარმეო და აგრარული პროექტების ფარგლებში შექმნილი და გამოფენაზე წარმოდგენილი ხელნაკეთი პროდუქციის რაოდენობა და მრავალფეროვნების ზრდა. პროექტის მიმდინარეობისას და დასრულებისას ჩატარებული ანონიმური გამოკითხვა მოსწავლეებში, მშობლებსა და პედაგოგებში. ასევე სპეციალური აღრიცხვის ფორმის საშუალებით შეფასდება, რამდენად აქტიურად და ინტენსიურად იყენებენ ,,ფინედუს" მიერ მოწოდებულ რესურსებს მოსწავლეები და პედაგოგები, როგორც პროექტის მიმდინარეობისას ასევე მის შემდგომ ეტაპზე.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	პროექტის ინიცირებას ვგეგმავთ 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებისთანავე სექტემბრის თვიდან. ,,ფინანსური უნარების კლუბი" -ის მუშაობა დაიწყება სექტემბრის ბოლოდან და გაგრძელდება მთელი სასწავლო წლის მანძილზე. პარალელურად, პროექტის მიმდინარეობისას, ჩატარდება დაგეგმილი ერთჯერადი აქტივობები, როგორებიცაა ,,ფინანსური თამაშების საღამო", მასტერკლასები, დებატები,ადგილობრივ ფინანსურ ინსტიტუტში" ვიზიტი და აშ..